საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 1150/01
08/02/2022

1150-01-2-202202081433

სს „ლისი ლეიქ დეველოპმენტს“
მის: ქ. თბილისი, ტირიფების ქ. №2
ელ.ფოსტა: tbi@lisi.ge

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი №23119 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება სს „ლისი ლეიქ დეველოპმენტის“ მიერ ქ. თბილისში **10 ჰექტარზე მეტი განაშენიანების ფართობის მქონე ურბანული განვითარების პროექტს** (ლისის ტბის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების განაშენიანების პროექტი).

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი არ არის და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- წარმოდგენილი სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის ფართობი შეადგენს 15.8 ჰექტარს, ხოლო გეოლოგიური საფრთხეების ზონების ფართობული განაწილება მოცემულია მხოლოდ 3.9 ჰა ტერიტორიისთვის, შესაბამისად ინფორმაციის წარმოდგენა საჭიროა სრული საპროექტო ფართობისთვის;
- გეოლოგიური საფრთხეების ზონირების რუკას არ აქვს მითითებული მასშტაბი, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ წყალარინების სისტემების ჩართვა მოხდება შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის არსებულ სისტემებში“ და მშენებლობის ეტაპზე უნდა მოხდეს კანალიზაციის ქსელების მოწყობა, თუმცა დოკუმენტში არ არის ინფორმაცია იმის თაობაზე, რა ტიპის სამუშაოები უნდა ჩატარდეს ქსელის მოსაწყობად (რა მანძილზე უნდა მოხდეს გაყვანა, რა სიღრმეზე და ა.შ);
- წარმოდგენილ დოკუმენტში არ არის აღწერილი სამშენებლო მასალების ტრანსპორტირებისა და დასაწყობების საკითხები;
- სკრინინგის განცხადებაში არ არის აღწერილი ხმაურის გავრცელებისა და ჰაერის დაბინძურების შემარბილებელი ღონისძებები;
- წარმოდგენილ დოკუმენტში (გვ.55) აღნიშნულია, რომ დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში მოსალოდნელია როგორც სახიფათო, ისე არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნა და რომ სახიფათო ნარჩენების რაოდენობა არ იქნება მნიშვნელოვანი, თუმცა, დოკუმენტში დაზუსტებული არ არის ნარჩენების სავარაუდო მოცულობა;

- სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ „პროექტზე მუშაობისას გათვალისწინებული იქნა, მზარდი ეკონომიკური მოთხოვნა დაცულ ტერიტორიაზე განლაგებულ ერთბინიანი საცხოვრებელი ერთეულების კომპლექსზე“. აღნიშნული ჩანაწერი საჭიროებს დაზუსტებას;
- მონაცემების ელექტრონული გადამოწმებით დგიდნება, რომ სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილ სიტუაციურ სქემაზე არასწორად არის დატანილი და კორექტირებას საჭიროებს მანძილები უახლოეს ზედაპირული წყლის ობიექტამდე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით განახლებული სკრინინგის განცხადების სამინისტროში წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე